სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“

2018 წლის ანგარიში

თბილისი

სარჩევი

შესავალი....2
ხარისხის მართვა....3
სამართლებრივი უზრუნველყოფა....4
სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა....4
ფინანსური და მატერიალური უზრუნველყოფა....5
პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვა....6
ინკლუზიური განათლება....7
რეესტრის წარმოება....7
საქმისწარმოება....8
ფაბლაბი....8
ბიბლიოთეკა....9
კომპიუტერული ქსელის უზრუნველყოფა....10

შესავალი

2018 წლის ანგარიში მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

- ✓ ხარისხის მართვა;
- ✓ სამართლებრივი უზრუნველყოფა;
- ✓ სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა;
- ✓ ფინანსური და მატერიალური უზრუნველყოფა;
- ✓ პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვა;
- ✓ ინკლუზიური განათლება;
- ✓ რეესტრის წარმოება:
- ✓ საქმისწარმოება;
- ✓ ფაბლაბი;
- ✓ ბიბლიოთეკა;
- ✓ კომპიუტერული ქსელის უზრუნველყოფა.

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ (შემდგომში - კოლეჯი) მიზანია ყველა საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, აგრეთვე მოსამზადებელი ზოგადსაგანმანათლებლო, ქართული ენისა და ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, პროფესიული განათლების თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამოყალიბება, პროფესიული განათლების სწავლის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი და პიროვნების მოთხოვნებზე, შესაძლებლობებსა და ინტერესებზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, მაღალკვალიფიციური, შრომის ბაზართან ადაპტირებული, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება.

კოლეჯში არსებული სასწავლო პროგრამები მორგებულია თანამედროვე ბიზნესის მოთხოვნებზე და თეორიულ სწავლებასთან ერთად, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას ითვალისწინებს.

ამ მიზნების მისაღწევად, კოლეჯი:

- უზრუნველყოფს თითოეული პროფესიული სტუდენტის განათლების, მომზადებისა და განვითარების პირობებს მისი განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინებით;
- ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე;
- ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა სოციალური პირობების გაუმჯობესებას;
- ხელს უწყობს პროფესიული განათლების სფეროში სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობას;
- ზრუნავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის პირობების შესაქმნელად;
- ხელს უწყობს თანამედროვე ცოდნისა და მეთოდების გავრცელებას;
- თანამშრომლობს საქართველოს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;
- ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობას და უცხოეთის შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა ურთიერთგაცვლას;
- ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

განათლების ხარისხის მართვა

კოლეჯის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმით გაწერილია დაწესებულების მიერ დასახული სტრატეგიული მიზნები, ამ მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი ამოცანები და აქტივობები. სტრატეგიული მიზნების მისაღწევად, ხარისხის მართვის მენეჯერისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ განხორციელდა შრომის ბაზრის და სტანდარტების შესაბამისი პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებზე დაფუძნებული მოდულური პროგრამების დანერგვა.

არსებული და ახალი ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შემუშავებული პროგრამების განვითარების მიზნით, შერჩევითი (რენდომული) მეთოდით პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერთან ერთად განხორციელდა სხვადასხვა მოდულების შედეგების დადასტურების პროცესებზე დასწრება. პროფესიული განათლების მასწავლებლებს მიეცათ შესაბამისი რეკომენდაციები.

სტრატეგიული მიზანი I - შრომის ბაზრის და სტანდარტების შესაბამისი პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებზე დაფუძნებული მოდულური პროგრამების, მათ შორის, სამუშაოზე დაფუძნებული მიდგომის სწავლების დანერგვა/პილოტირება: კოლეჯმა 2018 წლის 6 სექტემბერს, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 6 წლის ვადით მიიღო ავტორიზაცია, რომლის ფარგლებშიც მოიპოვა შემდეგი პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება:

1. **კომპიუტერული ქსელი და სისტემები;**
2. **საოფისე საქმე;**
3. **საფინანსო სერვისები;**
4. **ბუღალტრული აღრიცხვა;**
5. **ვებპროგრამისტი;**
6. **კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი;**
7. **სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტი (გენერალისტი);**
8. **ინფორმაციის ტექნოლოგია;**
9. **საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი.**

რომელთაგან სამი პროგრამის (საფინანსო სერვისები, საოფისე საქმე და კომპიუტერული ქსელები და სისტემები) დანერგვა რეავტორიზაციის მოპოვების პროცესში მოხდა. არსებული და ახალი ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შემუშავებული პროგრამების განვითარების მიზნით, შერჩევითი (რენდომული) მეთოდით პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერთან ერთად განხორციელდა სხვადასხვა მოდულების შედეგების დადასტურების პროცესებზე დასწრება. პროფესიული განათლების მასწავლებლებს მიეცათ შესაბამისი რეკომენდაციები.

სტრატეგიული მიზანი II - ადამიანური რესურსის ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლება, მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა:

სტრატეგიული მიზნის განხორციელებისთვის, 2018 წლის დეკემბრის თვეში დაგეგმილი იყო დაწესებულების პროფესიული განათლების მასწავლებლების, სტუდენტებისა და ადმინისტრაციის წევრების გამოკითხვა მათი საჭიროებების დასადგენად. ანალიზით დადგინდა, რომ გამოკითხული პროფესიული განათლების მასწავლებლების 7,7% - სრულად, ხოლო 23,1% ნაწილობრივ საჭიროებს დამატებით ტრენინგებს მოდულური სწავლების უკეთ წარმართვის მიზნით. გამოკითხული სტუდენტების უმეტესი ნაწილი პროფესიული განათლების მასწავლებლის კომპეტენციას დადებითად აფასებს. რაც შეეხება ადმინისტრაციის წევრების გამოკითხვას, მიმდინარეობს კითხვარების შემუშავება და მათი გამოკითხვა განხორციელდება 2019 წელს. სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით, პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის ჩატარდა ტრეინინგი ციფრულ ხელოვნებაში, ხოლო ადმინისტრაციის წევრებისათვის - სტრატეგიულ დაგეგმვაში. კოლეჯში დასაქმებული პროფესიული განათლების მასწავლებლების უმრავლესობა სერთიფიცირებულია, ანუ მონაწილეობა მიიღო სახელმწიფო სასერთიფიკაციო პროგრამაში.

სტრატეგიული მიზანი III - სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარება და სასწავლო პროცესში ინოვაციების დანერგვა:

პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვამ აჩვენა, რომ მათი უმეტესი ნაწილი კმაყოფილია მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების კომპეტენციით, მათ მიერ გამოყენებული სწავლების მეთოდებით, რაც დასტურდება შედეგების დადასტურების დადებითი მაჩვენებლით.

2018 წლის დეკემბერში, შერჩევის პრინციპით განხორციელდა შედეგების დადასტურების პროცესებზე დასწრება, შემუშავდა გარკვეული რეკომენდაციები, თუმცა რეკომენდაციების განხილვა პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ამ ეტაპზე არ შემდგარა, რადგან სასწავლო პროცესზე დასწრება ისევ გრძელდება, რეკომენდაციების განხილვა მოხდება 2019 წლის თებერვალში.

2018 წლის სექტემბრის თვეში დაიგეგმა სათანადო კომპეტენციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლების თემატური ჯგუფების შექმნა საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარების მიზნით. ვინაიდან ხარისხის მართვის მენეჯერის პოზიცია 2018 წლის 21 ნოემბრამდე ვაკანტური იყო, ამ აქტივობის განხორციელება ვერ მოხერხდა და შესაბამისად, დაიგეგმა 2019 წლის პირველ კვარტალში.

სტრატეგიული მიზანი IV - პროფესიული განათლების პოპულარიზაციის ხელშეწყობა:

ამ სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დაიგეგმა პროფესიული სტუდენტების ინტერესების კვლევა და კვლევის შედეგების ანალიზის შედეგად სათანადო აქტივობების განხორციელება. კვლევამ აჩვენა, რომ კოლეჯის ადმინისტრაციას მჭიდრო კომუნიკაცია აქვს სტუდენტებთან, რომლებიც სისტემატიურად ეცნობიან ვებ. გვერდზე განთავსებულ ინფორმაციას.

ჩართულობა სხვადასხვა პროფესიული განათლების მიღების ხელშეწყობის პროგრამებში

კოლეჯში შემუშავებულია სხვადასხვა მოკლევადიანი სასერტიფიკატო პროგრამები:

ა.) კოლეჯი აქტიურად იყო ჩართული საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების ფარგლებში, ასევე 2017-2018 წლებში საქართველოს მთავრობის „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის“ საფუძველზე მიმდინარე სწავლებებში.

ბ.) ხორციელდება მოკლევადიანი სასერტიფიკატო პროგრამები და შედეგად, კოლეჯის ბიუჯეტში მობილიზდება დამატებითი ფინანსური სახსრები საკუთარი შემოსავლების სახით.

გ.) მოკლევადიან პროფესიულ პროგრამების სწავლება მიმდინარეობს, როგორც სასჯელაღსრულებისა და პრობაციის დაწესებულებებში, ასევე კოლეჯის ბაზაზე.

სამართლებრივი უზრუნველყოფა

2018 წლის განმავლობაში შემუშავდა კოლეჯის მიერ გამოსაცემი სხვადასხვა შინაარსის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები და შესაბამისობაში მოვიდა მოქმედ კანონმდებლობასთან, მომზადდა კერძო და საჯარო სექტორის სუბიექტებთან ურთიერთთანამშრომლობითი ხასიათის მემორანდუმები შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით და განხორციელდა მოქალაქეთა და იურიდიულ პირთა კონსულტირება სამართლებრივი საკითხების ფარგლებში.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან შეთანხმებით დაიშვა სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის კოორდინატორის შტატგარეშე თანამდებობა, აღნიშნულთან დაკავშირებით, გამოცხადდა ღია კონკურსი და გამოვლინდა გამარჯვებული, რომელთანაც მოქმედი კანონმდებოლობის შესაბამისად გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება.

სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა

კოლეჯის მიერ ხორციელდება შრომის ბაზრის კვლევა და ახალი პარტნიორი ორგანიზაციების/დამსაქმებლის მოძიება, საწარმოო პრაქტიკის კუთხით. საწარმოო პრაქტიკა დაიგეგმა და განხორციელდა სხვადასხვა მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საწარმოო პრაქტიკის უზრუნველყოფის მიზნით.

საანგარიშო პერიოდისთვის კოლეჯს ჰყავს 31 სერტიფიცირებული პროფესიული მასწავლებელი. მათგან 21-ს უკვე გადაეცა სერტიფიკატი, კიდევ 10 პედაგოგის სერტიფიკატი მზადაა გადასაცემად. მათ, ვინც რაიმე მიზეზის გამო ვერ გაიარა ცალკეული მოდულები, უახლოეს პერიოდში შევთავაზებთ და ჩავრთავთ შესაბამის ტრენინგ-ჯგუფებში. კოლეჯის 21 პედაგოგი მონაწილეობდა ტრენინგში **მეწარმეობის** მიმართულებით. მათ, ვინც ვერ მიიღო მონაწილეობა და ამჟამად სურს აღნიშნული ტრენინგ-მოდულის გავლა, ასევე ექნებათ შესაძლებლობა ჩაერთონ ტრენინგ-კურსში, რომელსაც 2019 წელს აფინანსებს სახელმწიფო ევროკავშირის მიმართ ვალდებულების ფარგლებში.

ფინანსური და მატერიალური უზრუნველყოფა

2018 წლის განმავლობაში კოლეჯმა ვაუჩერული დაფინანსებით მიიღო სულ 407734 ლარი, აღნიშნული დაფინანსებიდან შრომის ანაზღაურებისათვის გახარჯულია: თანამდებობრივი სარგო-235632 ლარი და პრემიის სახით გაცემულია 11200 ლარი. საანგარიშო წელს კოლეჯის საშტატო განრიგში შეტანილი იქნა ცვლილება, კერძოდ, პროფესიული განათლების მასწავლებლები განისაზღვრნენ, როგორც ხელშეკრულებით აყვანილი არასაშტატო თანამშრომლები. აქედან გამომდინარე, გაიზარდა შტატგარეშე მომუშავეთა რიცხვი და მათი ანაზღაურების სახით გაცემულია 39258 ლარი და გაცემულია შობა-ახალი წლის პრემია 4050 ლარის ოდენობით, ხოლო სასწავლო პროცესისათვის საჭირო მასალებისათვის და სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის გაწეულია საკასო ხარჯი 5616 ლარის ოდენობით. ვაუჩერის სახსრებით გაწეულია ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის საავადმყოფო ფურცლის ანაზღაურება 429 ლარი. ვაუჩერის დაფინანსების საკასო ხარჯმა შეადგინა 296185 ლარი, ხოლო ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 293779 ლარი, 2406 ლარით ნაკლებია ვიდრე საკასო ხარჯი, აღნიშნული გამოწვეულია სასწავლო პროცესისათვის შეძენილი მასალების ნაშთის არსებობით. 2018 წელს კოლეჯმა განახორციელა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და სოციალური მომსახურების სააგენტოს მოკლევადიანი პროგრამები, რომლის ფარგლებში შემოსულია 17072 ლარი, საიდანაც გახარჯულია 16587 ლარი და ფაქტიური ხარჯია - 16587 ლარი. 2018 წელს საკუთარი სახსრებით შეძენილ არაფინანსურ აქტივებს დაერიცხა ცვეთა - 2285 ლარი.

2018 წლის განმავლობაში კოლეჯმა პროგრამული დაფინანსებით სახაზინო კოდზე 32 03 01 09 მიიღო 532358 ლარი, საიდანაც სხვა ხარჯების მუხლით გახარჯულია 1143 ლარი, შეძენილია არაფინანსური აქტივი 41059 ლარი, მათ შორის, სატრანსპორტო საშუალება - 25625,37 ლარი და სუბსიდიის მუხლით 490156 ლარი, მათ შორის „სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების პროგრამის“ ფარგლებში 36579 ლარი.

სახაზინო კოდზე 32 03 02 05 სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მოკლევადიანი პროფესიული პროგრამების განხორციელებისათვის კოლეჯმა მიიღო 14802 ლარი, რომელიც ათვისებულია.

2018 წელს ბიუჯეტის დაფინანსებამ შეადგინა 5570760 ლარი.

ბიუჯეტის ფაქტობრივი ხარჯია-920625 ლარი, მათ შორის ძირითადი კაპიტალის მოხმარება (ცვეთა)-410189 ლარის. 2018 წელს ბიუჯეტის საკასო ხარჯმა საქონელი და მომსახურების მუხლით შეადგინა 223440 ლარი. ოფისის ხარჯებში გაწეული ფაქტობრივი ხარჯი მეტია საკასო ხარჯზე 17257 ლარით, რაც გამოწვეულია, გასულ წლებში შეძენილი მატერიალური მარაგების ხარჯვით. საწვავის ფაქტიური ხარჯი მეტია საკასო ხარჯზე 42 ლარით. შეძენილია 189.97 ლიტრი 415 ლარის საწვავი, გახარჯულია 149.97 ლიტრი. კრედიტორული დავალიანება შეადგენს 141 ლარს. ფაქტიური ხარჯი მეტია სამედიცინო ხარჯებშიც - 99 ლარით. ჩამოწერილია წინა წლებში შეძენილი პირველადი დახმარების მედიკამენტები.

2018 წლის 1 იანვრისათვის კოლეჯს "საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან“ ერიცხებოდა კრედიტორული დავალიანება 166052,85 (ხელ-შეკრულება N 01/062-70). 2018 წელს ახალი მოდულური პროგრამებისათვის, შეთანხმებების საფუძველზე, შემენილია 48275 ლარის აღჭურვილობა, მათ შორის, 35743 ლარის არაფინანსური აქტივი და 12532 ლარის მცირეფასიანი აღჭურვილობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2019 წლის 1 იანვრისათვის შემცირდა კოლეჯის სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან კრედიტორული დავალიანება 117777 ლარამდე.

სახელმწიფო შესყიდვები - კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება-გაუმჯობესება მიმდინარეობს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის სრული დაცვითა და წინასწარ განსაზღვრული ღონისძიებების ფარგლებში. სულ 2018 წელს გაფორმდა 101 სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება, მათ შორის, 91 ხელშეკრულება - გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, 2 ხელშეკრულება - გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით, ერთი ხელშეკრულება - ელექტრონული ტენდერის საშუალებით, ხოლო 8 ხელშეკრულება - კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით.

უძრავი ქონება - კოლეჯის განლაგების ძირითად მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი შეადგენს 6169.30 კვ.მ. (ქ. თბილისი, ხიზანიშვილის ქ., მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 01.11.10.012.026, 01.11.10.012.028, მიწა - 5937 მ.კვ.), (ქ. თბილისი, მახალდიანის ქ. N7, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 01.12.20.030.022, მიწა - 536 მ.კვ.).

კოლეჯში „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანების შესაბამისად და მოთხოვნების დაცვით, ხორციელდება კოლეჯის ძირითადი აქტივების, ნედლეული და მასალების, მზა პროდუქციის, შემდგომი რეალიზაციისათვის შემენილი საქონლის, სათადარიგო ნაწილების, სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგების, ფულადი ანგარიშებისა და ფულადი დოკუმენტების, ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია.

2018 წლის 31 დეკემბრისათვის, კოლეჯის კუთვნილი ქონების ფაქტიურმა ღირებულებამ შეადგინა - 13915663 (ცამეტი მილიონ ცხრაასთხუთმეტიათას ექვსას სამოცდასამი) ლარს, აქედან კოლეჯის აქტივები - 13185665 ლარი, ხოლო დანარჩენი - 729998 ლარის ქონება არის ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა და მარაგების სახით.

2018 წლის 17 დეკემბრის N121 ბრძანებით, 2018 წლის 18 დეკემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებიდა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის წესის“ შესაბამისად კოლეჯში ჩატარდა ინვენტარიზაცია.

კოლეჯმა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში წარადგინა:

- 2018 წლის ბიუჯეტის ათვისება-აუთვისებლობის შესახებ ინფორმაცია;
- 2018 წლის 9 თვის მხარჯავი დაწესებულებების ფორმა N2 (ტრანსპორტის და თანამშრომლების შესახებ);
- 2018 წლის მესამე და მეოთხე კვარტლების არაფინანსური თანხების დეტალური გაწერა;
- საკუთარი და საბიუჯეტო სახსრების კორექტირებული ინფორმაცია.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში კოლეჯმა წარადგინა 2018 წლის მესამე კვარტლის რეგულარული ფორმა „შრომის შესახებ“ და შემოსავლების სამსახურში ყოველთვიური დეკლარაციები „განაცემთა ინფორმაცია“ და „დაკავებული საშემოსავლო გადასახდის შესახებ“ 2018 წლის ოქტომბერი-ნოემბერი-დეკემბერი.

ამასთან, რეგულარულად მიმდინარეობს კოლეჯის საქმიანობის პროცესში მომხდარი ცვლილებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, დაჯგუფება და შესაბამისად ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვა. ყოველდღიურად ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში

მუშაობა, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების სისტემაში ატვირთვა, ვალდებულებების და საგადახდო დოკუმენტების მომზადება, პირველადი დოკუმენტების და ინვოისების შექმნა.

პროფორიენტაცია და კარიერის დაგეგმვა

2018 წლის განმავლობაში, კოლეჯში განხორციელდა გაცნობითი ვიზიტი სკოლებიდან, რომლის ფარგლებშიც, სკოლის მოსწავლეები გაეცნენ კოლეჯის პროფილს, პროგრამებს, აუდიტორიებსა და სახელოსნოებს, მათ მიეცათ საშუალება გარკვეული სპეციალობები თავად მოესინჯათ.

მიმდინარე პერიოდში, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმებულია კომუნიკაციების, მომსახურების, ბიზნესის, მშენებლობის, მრეწველობის, საზოგადოებრივი კვლევების სფეროში მოღვაწე კომპანიებთან.

კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციებთან შეთანხმებით, საწარმოო პრაქტიკის დროს კომპანიების მიერ ხორციელდება პროცესის მონიტორინგი, რომლის დასრულების შემდეგ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით ორგანიზაციების მხრიდან ხორციელდება სტუდენტთა შეფასების პროცესი.

პროფორიენტაციის ღონისძიებები ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის და ყველა სხვა დაინტერესებული პირისთვის, როგორც ოფიციალური ვებ-გვერდის, ისე სოციალური ქსელის საშუალებით, ასევე, საჯაროდ იკვრება და ვრცელდება სარეკლამო ბროშურები, რაც ხელს უწყობს მათ ჩართულობას და ინფორმირებას ნებისმიერ აქტივობასთან დაკავშირებით.

კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, ქვეყნდება ინფორმაცია სხვადასხვა დაწესებულებებში გამოცხადებულ ვაკანსიებთან დაკავშირებით, ასევე, ინდივიდუალურად ხდება რეკომენდაციების გაწევა კონკრეტულ პოზიციაზე დასაქმების მოთხოვნის შესაბამისად.

2018 წელს, კოლეჯში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრირებულთათვის ორჯერ - გაზაფხულის და შემოდგომის მიღებისათვის გაიმართა ღია დღე. შეხვედრაზე აპლიკანტებს მიეწოდათ ინფორმაცია პროფესიული ტესტირებისა და ჩარიცხვის შემდგომი პროცედურების, დაფინანსების მოპოვებისა და სხვა საინტერესო დეტალების შესახებ.

კოლეჯმა უმასპინძლა გერმანიის რესპუბლიკის ქალაქ დელმენჰორსტის „პროფესიული განათლების სკოლა II“ დირექტორს ულიჰ დროსთს, ქალაქ ოლდენბურგის პროფესიული განათლების სკოლის „ეკონომიკური სამართლის ადმინისტრაცია - ევროპული სკოლა“ დირექტორს ოლივერ ფუნდტს და ეკონომიკის პროფესიული განათლების მასწავლებელს ტატიანა ლაბოჰმს. ვიზიტის მიზანი იყო უცხოელი კოლეგები გაცნობოდნენ კოლეჯს და ესაუბრათ მომავალი თანამშრომლობის შესაძლებლობებზე.

საგანმანათლებლო პორტალმა edu.aris.ge-მ კოლეჯის შესახებ გადაიღო ვიდეო რგოლი და გამართა რგოლის პრეზენტაცია. პრეზენტაციის თემა პროფესიული განათლების პოპულარიზაციის გაზრდას და სტუდენტთა დასაქმების გამარტივებას ეხებოდა.

,,გაუზიარე სიცოცხლე, გაიღე სისხლი" - კოლეჯი შეუერთდა სისხლის უანგარო დონორის აქციას, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს, როგორც ადმინისტრაციის თანამშრომლებმა, ისე პროფესიული განათლების მასწავლებლებმა და სტუდენტებმა.

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის დახმარებით, კოლეჯი მასპინძლობას უწევდა გერმანული კომპანია KLETT-GRUPPE-ის წარმომადგენლებს. კომპანია ძირითადად საქმიანობს საგამომცემლო სფეროში, თუმცა, ახორციელებს სხვადასხვა საგანმანათლებლო და სასწავლო მიმართულებებსაც.

2018 წლის 27-28 ოქტომბერს, ადგილობრივი თვითმართველობის, გლდანის რაიონის გამგეობის და თბილისის არქიტექტურის სამსახურის მხარდაჭერით კოლეჯმა უმასპინძლა ორდღიან სიმპოზიუმს - თბილისის არქიტექტურის ბიენალეს, რომლის ფარგლებშიც მოწვეული იყო 28 უცხო ქვეყნის წამყვანი არქიტექტორი.

ჩართულობა სხვადასხვა პროფესიული განათლების მიღების ხელშეწყობის პროგრამებში

საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 27 იანვრის №119 ბრძანებით დამტკიცებული „სკოლის მოსწავლეებში შრომითი უნარების განვითარების ქვეპროგრამის“ ფარგლებში წარმატებით განხორციელდა პროფესიული უნარების განვითარების კურსები „ინფორმაციის ტექნოლოგია“ და „კერვა და ნაწარმის მხატვრული გაფორმება“ კოლეჯის ბენეფიციარ 9 საჯარო სკოლაში, რაც თავის მხრივ გულისხმობს მსმენელთა სერთიფიცირებას.

ინკლუზიური განათლება

კოლეჯში შექმნილია ყველა პირობა სსსმ პირებისთვის საუკეთესო პროფესიული განათლების მისაღებად.

სსსმ სტუდენტების საგანმანათლებლო პროცესის მიმდინარეობაზე დაკვირვების მიზნით, რეგულარულად ხორციელდება სალექციო საათებზე დასწრება და სასწავლო პროცესის ანალიზის შედეგად სწავლების ეფექტური სტრატეგიების შერჩევა და მათი დანერგვის ხელშეწყობა.

სტუდენტების საწარმოო პრაქტიკის გავლისა და დასაქმების კუთხით, კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს დამსაქმებლებთან. კოლეჯი ასევე ახორციელებს წინასწარ მოკვლევას იმის შესახებ, თუ რამდენად შეძლებს დამსაქმებელი სსსმ პირის/ების მიღებასა და მისთვის შესაფერისი გარემოთი უზრუნველყოფას.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმებულია კომუნიკაციების, მომსახურების, ბიზნესის, მშენებლობის, მრეწველობის, საზოგადოებრივი კვლევების სფეროში მოღვაწე კომპანიებთან, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულები პროგრამების განხორციელების, საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული პროექტის მიმდინარეობის პროცესში.

2018 წლის დეკემბრის მდგომარეობით კოლეჯში პროფესიულ განათლებას ეუფლება 13 სსსმ პროფესიული სტუდენტი.

რეესტრის წარმოება

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ რეესტრში მიმდინარე პერიოდში განახლდა და ერთიან მონაცემთა ბაზაში აისახა:

- პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე/ჩარიცხული პირების შესახებ ინფორმაცია;
- შესრულდა პროფესიულ პროგრამაში შემავალი ყველა მოდულურ პროგრამებზე პროფესიული სტუდენტების გადანაწილება;
- პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის/შეჩერების/შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია;
- გაცემული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის (პროფესიული დიპლომის) ნომერი და სერია, გაცემის (გატანის) თარიღი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებში შემავალი ყველა მოდულური პროგრამის დაწყება/დასრულების თარიღები.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიმართულება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საფეხური;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხანგრძლივობა;
- საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შესახებ ინფორმაცია.

კოლეჯი აწარმოებს ელექტრონულ ჟურნალსა და ასევე სააღრიცხვო excel -ის ჟურნალს.

საქმის წარმოება

კოლეჯში იწარმოება შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

- შემოსული კორესპონდენცია;
- გასული კორესპონდენცია;
- სტუდენტთა ბრძანებები;
- საკადრო ბრძანებები;
- ორგანიზაციული ბრძანებები.

2018 წლის განმავლობაში, შემოსული/გასული კორესპონდენცია დასრულებულია და კანონმდებლობის შესაბამისად მოხდენილია რეაგირება საქმისწარმოების ერთიანი წესების დაცვით. ასევე, წარმოებს დოკუმენტაციის დახარისხება და დაარქივებისთვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება.

FAB LAB

ფაბლაბი ანუ სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია არის უნიკალური სივრცე, სადაც თანამედროვე დანადგარების მეშვეობით შესაძლებელია იდეა აქციოთ რეალობად და დაიწყოთ ბიზნესი ფაბლაბთან ერთად. FAB day გაიმართა „ტექნოპარკში“, სადაც წარმოდგენილი იყო ფაბლაბში შექმნილი მაღალტექნოლოგიური და ინოვაციური პროექტები/პროტოტიპები და ქართველი სტარტაპების მიერ წარმოებული ნივთები.

გამოფენის პარალელურად საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა პროექტის ,,დაიწყე ბიზნესი ფაბლაბთან ერთად'' ღია კარის დღე, სადაც „ტექნოპარკის“ ფაბლაბის გუნდმა წარმოადგინა პროექტი.

2018 წლის 25-29 ივნისი, „ტექნოპარკში“ გაიმართა პროფესიულ განათლებაში ინოვაციური სწავლების კვირეული, სადაც გამოფენილი იყო დამსწრე საზოგადოებისთვის კოლეჯების სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიაში შექმნილი პროდუქტები და პროტოტიპები.

2018 წლის 4 ივლისი, „ტექნოპარკში“ ფაბლაბი - სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია საუკეთესო შესაძლებლობაა ინოვატორებისთვის, რომ შექმნან ფიზიკური პროდუქტები და განახორციელონ საკუთარი იდეა, შეხვედრის მიზანია მოტივაციისა და ინსპირაციის მიცემა სწორედ ასეთი ადამიანებისთვის. შეხვედრაზე მოწვეული სტუმარი იყო ანტრეპრენიორი და ტექნოლოგიების კომერციალიზაციის ექსპერტი - დავით ჩეჩელაშვილი, რომელიც კითხულობს ლექციებს ინოვაციურ მეწარმეობაზე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში.

2018 წლის 30 ნოემბერს, სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ გაიმართა საქართველოს კოლეჯების სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის კოორდინატორების პირველი შეკრება. შეკრებაზე სტუმრად იყო მოწვეული სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიების მენეჯერი ივანე ნაზღაიძე. შეხვედრაზე განხილულ იქნა სხვადასხვა საკითხები Fab-Lab-ის განვითარებასთან დაკავშირებით.

ბიბლიოთეკა

2018 წლის ჩათვლით ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების რაოდენობა:

ერთი დასახელების 141 ცალი წიგნი (15 ქსეროასლი) ჯამში 1258 ცალი.

2018 წლის ჩათვლით ბიბლიოთეკაში არსებული CD დისკების რაოდენობა:

ერთი დასახელების 65 ცალი (ჯამში 291 ცალი).

2018 წლის განმავლობაში ბიბლიოთეკას სულ დაემატა 7 ერთეულის დასახელების წიგნი (ქსეროასლი) და 15 ერთეულის დასახელების CD დისკები:

1. შ. ხუბუნაია - „მეწარმეობა“ (რაოდენობა 1 ცალი).

2. გ. ერქომაიშვილი, ლ. გიგაური, ნ. ტალახაძე - "მეწარმეობის საფუძვლების" (რაოდენობა 1 ცალი).
3. მასწავლებლის გზამკვლევი - „მეწარმეობა“ (რაოდენობა 1 ცალი).
4. რ. კაკულია; გ. ხელაია - "ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორია" (რაოდენობა 1 ცალი).
5. ვ.ოთხოზორია: ნ. ოთხოზორია - „ინფორმაციული ტექნოლოგიების საფუძვლები" მეთოდური მითითებები ლაბორატორიული სამუშაოების შესასრულებლად (რაოდენობა 1 ცალი).
6. ი. კოვზანაძე; გ. კონტრიძე - "თანამედროვე საბანკო საქმე" თეორია და პრაქტიკა (რაოდენობა 1 ცალი).
7. ვ. ოთხოზორია; ზ. ცირამუა; შ. სვანიშვილი - "ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდამჭერი სპეციალისტი" (რაოდენობა 1 ცალი).

CD - დისკები:

1. სასწავლო ვებგვერდების ჩამონათვალი - ვებპროგრამისტი;
2. სასწავლო რესურსები, ინტერნეტ-ბმულები - საოფისე საქმე;
3. სასწავლო რესურსები, ინტერნეტ-ბმულები - საფინანსო სერვისები;
4. სასწავლო რესურსები, ინტერნეტ-ბმულები - ქსელები (V საფეხური);
5. სასწავლო რესურსები, ინტერნეტ-ბმულები - მეწარმეობა;
6. სასწავლო რესურსები, ინტერნეტ-ბმულები - საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი;
7. სასწავლო რესურსები, ინტერნეტ-ბმულები - სამგანზომილებიანი გრაფ. სპეციალისტი;
8. სასწავლო რესურსები, ინტერნეტ-ბმულები - რაოდენობრივი წიგნიერება;
9. სასწავლო რესურსები, ინტერნეტ-ბმულები - ინფორმაციის ტექნოლოგია;
10. სასწავლო რესურსები, ინტერნეტ-ბმულები - ინფორმაციული წიგნიერება;
11. სასწავლო რესურსები, ინტერნეტ-ბმულები - ინგლისური ენა;
12. სასწავლო რესურსები, ინტერნეტ-ბმულები - ინტერპერსონალური კომუნიკაცია;
13. სასწავლო რესურსები, ინტერნეტ-ბმულები - ბუღალტრული აღრიცხვა;
14. სასწავლო რესურსები, ინტერნეტ-ბმულები - ქსელები (IV საფეხური);
15. სასწავლო რესურსები, ინტერნეტ-ბმულები - სამოქალაქო განათლება.

ზემოაღნიშნულ პერიოდში ბიბლიოთეკის სერვისით ისარგებლეს, როგორც პროფესიულმა სტუდენტებმა, ასევე კოლეჯის ადმინსტრაციამ და პროფესიული განათლების მასწავლებლებმა.

2018 წლის განმავლობაში ბიბლიოთეკიდან წიგნის გატანის - დაბრუნების 76 ხელმოწერა არის დაფიქსირებული (17-მა ისარგებლა გახანგძლივების უფლებით).

ასევე, მეხსიერების ბარათით და ელექტრონული ფოსტით, ბიბლიოთეკიდან ბიბლითეკარის მიერ, გაგზავნილი არის მრავალჯერ, სხვადასხვა სახის ელექრონული წიგნები სტუდენტებისთვის, მოთხოვნის შემთხვევაში.

2018 წლის განმავლობაში ბიბლიოთეკიდან არ ჩამოგვიწერია არცერთი დაზიანებული, მორალურად მოძველებული და სასწავლო პროცესისთვის შეუსაბამო წიგნი.

კომპიუტერული ქსელის უზრუნველყოფა

2018 წლის განმავლობაში მუდმივად მიმდინარეობდა კოლეჯის შიდა ქსელის მონიტორინგი და კოლეჯის ვებ-გვერდის ადმინისტრირება, კოლეჯის პერსონალური კომპიუტერებისა და ლეპტოპების პროგრამული უზრუნველყოფა, განახლება და ხარვეზების აღმოფხვრა.